ხელშეკრულება№48

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
დაფინანსების წყარო - ადგილობრივი
ბიუჯეტი

გორი 20 აპრილი 2022 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის გიორგი პურიჭამიაშვილის სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 418471059) და მეორეს მხრივ, ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი (ს/ნ 43001000395) სახით ხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)-პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტი.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ავტომობილებისათვის CC313CD CC312CD CC311CD სათადარიგო ნაწილებისა და მანქანის შეკეთების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

1	რისორი	44316000	cc311cd	ცალი	2	290	580
2	ჰაერის ფილტრი	42913500	cc311cd	ცალი	1	15	15
3	საწვავის ფილტრი	42913400	cc311cd	ცალი	1	20	20
4	ანტიფრიზი	24951311	cc311cd	ლიტრი	1	16	16
5	რისორის დამჭერი	44531000	cc311cd	ცალი	2	10	20
6	რესორის ბოლტი	34312500	cc311cd	ცალი	1	10	10
7	უკუსარქველის შლანგი	44165100	cc311cd	ცალი	1	20	20
8	გადაცემათა კოლოფის პლიტა	34322200	cc311cd	ცალი	1	320	320
9	გადაცემათა კოლოფის ფერადო	34322300	cc311cd	ცალი	1	200	200
10	გადაცემათა კოლოფის ზეთი	09211400	cc311cd	ლიტრი	4	25	100
11	ხელობა	50110000	cc311cd			350	350
12	რისორი	44316000	cc312cd	ცალი	2	290	580

13	ჰაერის ფილტრი	42913500	cc312cd	ცალი	1	15	15
14	საწვავის ფილტრი	42913400	cc312cd	ცალი	1	20	20
15	შემფრქვევის სადეგი რგოლი	34312500	cc312cd	ცალი	4	10	40
16	ტორმუზის სითხე	09211650	cc312cd	ლიტრი	2	18	36
17	ანტიფრიზი	24951311	cc312cd	ლიტრი	1,5	16	24
18	თერმოსტატი	42131130	cc312cd	ცალი	1	100	100
19	გერმეტიკი	24951120	cc312cd	ცალი	1	26	26
20	რადიატორის სითხე	24961000	cc312cd	ცალი	1	10	10
21	შარავოი	34321100	cc312cd	ცალი	2	50	100
22	ტურბოს შლანგი	44165100	cc312cd	ცალი	1	40	40
23	ხელობა	50110000	cc312cd			261	261
24	ჰაერის ფილტრი	42913500	cc313cd	ცალი	1	15	15
25	საწვავის ფილტრი	42913400	cc313cd	ცალი	1	20	20
26	რადიატორის სითხე	24961000	cc313cd	ცალი	1	10	10
27	აბეესის დაჩიკი	34322100	cc313cd	ცალი	1	60	60
28	დიფრის ზეთი	09211600	cc313cd	ლიტრი	2	15	30
29	კარდნის გადაბმულობის საკისარი	42141800	cc313cd	ცალი	1	50	50
30	სტუპიცის სალნიკი	34312500	cc313cd	ცალი	1	30	30
31	სტუპიცის საკისარი	44440000	cc313cd	ცალი	1	70	70
32	ხელობა	50110000	cc313cd			115	115
სულ ჯამი:							**3303**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3303 (სამიათას სამას სამი) ლარს, ყველა თანმდევი გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: 2022 წლის 27 აპრილი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორი. ბაქოს ქ. N14/13

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა/ზედნადები/მიღება-ჩაბარების აქტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების

შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 8 (რვა) კალენდარულ დღეში.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს

პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან

ვალდებულების

შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება

პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ

დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03% ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფროსი-გიორგი ნასყიდაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და
რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის	ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი
განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო	ს/ნ 43001000395
ს/კ 418471059	მის: გორი, ბაქოს ქ.N14/13
სახელმწიფო ხაზინა – TRESGE22	ა.ა GE84BS 0000 0000 8843 6946
მის: გორი. სტალინის გამზ. № 11	ს.ს. „ბაზის ბანკი“.
Giorgi Purichamiashvili Подписано цифровой подписью: Giorgi Purichamiashvili Дата: 2022.04.20 11:37:05 +04'00'	Malkhazi Umekashvili Подписано цифровой подписью: Malkhazi Umekashvili Дата: 2022.04.20 11:36:18 +04'00'
/გ. პურიჭამიაშვილი/	/მ. უმეკაშვილი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 20 აპრილი 2022 წ.

მიმწოდებელი: ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი (43001000395)

ხელშეკრულება: N48

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“შესაბამისად ვადასტურებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი:	Giorgi Purichamiashvili	Подписано цифровой подписью: Giorgi Purichamiashvili Дата: 2022.04.20 11:37:34 +04'00'	გიორგი პურიჭამიაშვილი:
ადმინისტრაციის უფროსი:	Giorgi Naskidashvili	Подписано цифровой подписью: Giorgi Naskidashvili Дата: 2022.04.20 11:39:06 +04'00'	გიორგი ნასყიდაშვილი
შესყიდვების მენეჯერი:	Nino Tsutskiridze	Подписано цифровой подписью: Nino Tsutskiridze Дата: 2022.04.20 11:40:01 +04'00'	ნინო ცუცქირიძე